



სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ 2019 წლის ანგარიში

წინამდებარე დოკუმენტით წარმოდგენილია სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ ანგარიში 2019 წლის სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში.

ამოცანა №1 - სასწავლო პროგრამების განვითარება და განხორციელება

- **რეაგტორიზაცია** - 2019 წელს კოლეჯმა გაიარა რეაგტორიზაცია. რეაგტორიზაციაზე წარდგენილი იყო 11 (თერთმეტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და ჯამში კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრა - 378 პროფესიული სტუდენტით.
 - კულინარიის ხელოვნება (მოდულური/დუალური);
 - კონდიტერია (დუალური);
 - ელექტროობა (მოდულური);
 - საავტომობილო გზების მშენებლობა (დუალური);
 - მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები (მოდულური/დუალური);
 - სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება (დუალური);
 - სამკერვალო წარმოება (მოდულური);
 - ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური);
 - სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (მოდულური - მიღევად რეჟიმში);
 - ბართენდერი (მოდულური - მიღევად რეჟიმში);
 - ვებ ინტერფეისის დეველოპერი - (მოდულური - მიღევად რეჟიმში).

- **ახალი პროგრამების დამატება** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო 5 (ხუთი) ახალი პროგრამის დამატება, რაც შესრულებული იქნა.

2019 წელს კოლეჯმა რეაგტორიზაციის შემდეგ დაიმატა 5 (ხუთი) მოდულური პროგრამა. მათ შორის, 3 (სამი) - დუალური პროგრამა.

- სასტუმრო მომსახურება - (დუალური) - კვოტა - 30 პროფესიული სტუდენტი;
- სარესტორნო მომსახურება - (დუალური) - კვოტა - 30 პროფესიული სტუდენტი;
- ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი - (დუალური) - კვოტა - 40 პროფესიული სტუდენტი;

- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური - IV დონე) - კვოტა - 40 პროფესიული სტუდენტი;
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება (მოდულური - V დონე) - კვოტა - 40 პროფესიული სტუდენტი;

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა შეადგენს - 558 პროფესიულ სტუდენტს.

➤ **2019 წლის რეგისტრანტთა სტატისტიკა** - 2019 წლის საგაზაფხულო მიღებაზე 4 პროგრამაზე დარეგისტრირდა 210 აპლიკანტი, ხოლო საშემოდგომო მიღებაზე 9 პროგრამაზე დარეგისტრირდა 482 აპლიკანტი.

1. **კულინარიის ხელოვნება** - საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენდა 30 სტუდენტს. საგაზაფხულო მიღებაზე ბაზაში დარეგისტრირდა 108 აპლიკანტი, ჩაირიცხა 14 სტუდენტი. საშემოდგომო მიღებაზე დუალურ პროგრამაზე ბაზაში დარეგისტრირდა 164 აპლიკანტი, გასაუბრების წესით დამსაქმებლებმა შეარჩიეს 15 სტუდენტი.
2. **სასტუმრო მომსახურება** - საშემოდგომო მიღებაზე პროგრამაზე მისაღები ადგილის რაოდენობა იყო 15 პროფესიული სტუდენტი. ბაზაში დარეგისტრირდა 42 აპლიკანტი. გასაუბრების წესით შეირჩა 10 სტუდენტი.
3. **სარესტორნო მოსახურება** - საშემოდგომო მიღებაზე პროგრამაზე მისაღები ადგილის რაოდენობა იყო 15 პროფესიული სტუდენტი. ბაზაში დარეგისტრირდა 42 აპლიკანტი (პირველადი და მეორადი არჩევანი), მაგრამ სარესტორნო მომსახურების პროგრამაზე პირველადი არჩევანით იყო მხოლოდ 3 აპლიკანტი. გასაუბრების წესით შეირჩა 8 სტუდენტი.
4. **ელექტრობის პროგრამა** - საშემოდგომო მიღებაზე პროგრამაზე მისაღები ადგილის რაოდენობა იყო 34 პროფესიული სტუდენტი. ბაზაში დარეგისტრირდა 62 აპლიკანტი, ჩაირიცხა - 34 სტუდენტი.
5. **მშენებლობის წარმოება/ იატაკისა და ფილის სამუშაოები** - პროგრამაზე მისაღები ადგილის რაოდენობა იყო 15 პროფესიული სტუდენტი. ბაზაში დარეგისტრირდა 18 აპლიკანტი, ჩაირიცხა 11 სტუდენტი.
6. **ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი** - პროგრამაზე ბაზაში დარეგისტრირდა მხოლოდ ერთი აპლიკანტი. ჯგუფი არ შედგა.
7. **ინფორმაციის ტექნოლოგია** - საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებაზე გამოცხადებული იყო 20-20 ადგილი. გაზაფხულზე ბაზაში დარეგისტრირდა 59 აპლიკანტი, ჩაირიცხა 20 აპლიკანტი. საშემოდგომო მიღებაზე დარეგისტრირდა 67 აპლიკანტი, ჩაირიცხა 19 სტუდენტი.
8. **კომპიუტერული ქსელები და სისტემები** - საშემოდგომო მიღებაზე პროგრამაზე მისაღები ადგილის რაოდენობა იყო 20 პროფესიული სტუდენტი. დარეგისტრირდა 31 აპლიკანტი, ჩაირიცხა 20 სტუდენტი.
9. **კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება** - საშემოდგომო მიღებაზე პროგრამაზე მისაღები ადგილის რაოდენობა იყო 20 პროფესიული სტუდენტი. ბაზაში დარეგისტრირდა 27 აპლიკანტი. ჩაირიცხა 19 სტუდენტი.

10. **სამკერვალო წარმოება** - სამემოდგომო მიღებაზე პროგრამაზე მისაღები ადგილის რაოდენობა იყო 30 პროფესიული სტუდენტი. ბაზაში დარეგისტრირდა 83 აპლიკანტი, ჩაირიცხა 27 აპლიკანტი.

11. **სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი** - კოლეჯი მიღევად რეჟიმში ახორციელებს პროგრამას. პროგრამაზე საგაზაფხულო მიღებაზე გამოცხადებული იყო 15 ადგილი. ბაზაში დარეგისტრირდა 43 აპლიკანტი, ჩაირიცხა 14 სტუდენტი.

12. **ბართენდერი** - კოლეჯი მიღევად რეჟიმში ახორციელებს ბართენდერის პროგრამას. საგაზაფხულო მიღებაზე ბართენდერის სპეციალობაზე გამოცხადებული იყო 20 ადგილი. დარეგისტრირდა 24 აპლიკანტი. ჩაირიცხა 15 სტუდენტი.

➤ **სსსმ პირების სწავლება** - 2019 წლის საგაზაფხულო მიღებაზე კოლეჯში ჩაირიცხა 8 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი. 2019 წლის სამემოდგომო მიღებაზე კოლეჯში „ბლექსი“ ჩაირიცხა 12 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი.

➤ **პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სტატისტიკა** - 2019 წელს საგაზაფხულო და სამემოდგომო მიღებებზე კოლეჯში ჩაირიცხა 219 პროფესიული სტუდენტი.

2019 წელს კოლეჯი დაასრულა 172 პროფესიულმა სტუდენტმა.

➤ **პროგრამების განხორციელების პროცესში მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგები:**

1. **პირველი საკვალიფიკაციო გამოცდა „კულინარიის ხელოვნების“ დუალურ პროგრამაზე** - 2019 წელს კოლეჯში, GIZ მხარდაჭერით, ჩატარდა პირველი საკვალიფიკაციო გამოცდა კულინარიის ხელოვნების დუალურ პროგრამაზე. გამოცდა ჩატარდა სასტუმრო „პარაგრაფის“ ბაზაზე. საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მიენიჭა 12 პროფესიულ სტუდენტს. პარტნიორი კომპანიები: სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“ და „კასტელო მარე“.

გამოცდას აკვირდებოდნენ გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ) ექსპერტები და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

2. **პირველი შუალედური გამოცდა „კონდიტერიის“ დუალურ პროგრამაზე** - 2019 წელს კოლეჯში ჩატარდა პირველი შუალედური გამოცდა „კონდიტერიის“ დუალურ პროგრამაზე, კოლეჯი ბაზაზე, პარტნიორი კომპანიების ჩართულობით.

გამოცდას აკვირდებოდნენ გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ) ექსპერტები და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

3. **პირველი შუალედური გამოცდა „საავტომობილო გზების მშენებლობის“ დუალურ პროგრამაზე** - 2019 წელს კოლეჯში ჩატარდა პირველი შუალედური გამოცდა „საავტომობილო გზების მშენებლობის“ დუალურ პროგრამაზე, პარტნიორი კომპანიის „გზები“ ბაზაზე. გამოცდას აკვირდებოდნენ გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ) ექსპერტები.

როგორც საკვალიფიკაციო, ასევე, შუალედური გამოცდები დადებითად იქნა შეფასებული.

4. **სსსმ პირთა მხარდაჭერა სასწავლო პროცესში** - სასწავლო პროცესში სსსმ პირთა მხარდაჭერის პროცესი ხარისხიანად მიმდინარეობს. კოლეჯი უზრუნველყოფს საჭიროების შესაბამისად, სსსმ პირთა მხარდაჭერას ქესტური ენის თარჯიმნით, მობილობისა და ორიენტაციის ტრენერითა და ტრანსპორტირებით.

2019 წელს კოლეჯმა პირველად გაუწია მომსახურება მხედველობის დარღვევის მქონე პირს, ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამაზე. სსსმ სტუდენტს მხარდაჭერას უწევს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (ი. ლომთათიძე), რომელიც სერტიფიცირებული მობილობისა და ორიენტაციის ტრენერია.

2019 წელს დამტკიცდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის და შეფასების მტკიცებულებების მოპოვების ინსტრუქცია, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და მასწავლებლები მუშაობენ არსებული რეგულაციის შესაბამისად.

➤ **პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადება (პროგრამები)** - 2019 წელს კოლეჯმა დადასტურების გზით მოიპოვა 10 (ათი) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება. მათ შორის, სამშენებლო და ტურიზმის სფეროს 13 პარტნიორთან თანამშრომლობით.

პროფესიული მომზადების პროგრამები:

- ხელოვნური ქვის კონსტრუქციების წყობა;
- კერამიკული ფილის დაგება;
- ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე;
- საოჯახო სასტუმროს მომსახურების სერვისი;
- მასპინძლობის სერვისი ღვინის მარანში.

პროფესიული გადამზადების პროგრამები:

- სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა (ჰაუსქიფინგი);
- კერძების მომზადების ტექნოლოგია;
- საკონდიტრო ნაწარმის დეკორი (შოკოლადის დეკორი);
- ხელოვნური ქვის კონსტრუქციების წყობა და ზღუდარების მოწყობა;
- კერამიკული ფილის დაგება.

➤ **პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადება (პარტნიორები)** - 2019 წელს პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების მიზნით ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები გაფორმდა სამშენებლო და ტურიზმის სფეროს 14 (თოთხმეტ) პარტნიორთან.

- **სამშენებლო სექტორი:** შპს "ორბი ჯგუფი ბათუმი", შპს "გუმბათი ჯგუფი", შპს "ELSTAR", შპს „მირაკლი“, შპს „სახლი ხეივანში“, შპს „დს კონსტრაქშენ“, „ შპს „ანაგი“.
- **ტურიზმის სექტორი:** სასტუმრო "ჰილტონ ბათუმი", სასტუმრო „ვინდამ ბათუმი“, საკონდიტრო "ალუბალი", აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ღვინის მარანი - „რკ. საწური“ და ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“.

მათ შორის, თანამშრომლობა უკვე შედგა 9 (ცხრა) პარტნიორთან.

➤ **2019 წლის რეგისტრანტთა სტატისტიკა - პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადება**

2019 წლის გაზაფხულზე დაიწყო ზრდასრულთა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება.

რეგისტრანტთა სტატისტიკა:

- ხელოვნური ქვის კონსტრუქციების წყობა - 12;
- ხელოვნური ქვის კონსტრუქციების წყობა და ზღუდარების მოწყობა - 13;
- ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე - 73;
- კერამიკული ფილის დაგება - 10;
- კერამიკული ფილის დაგება - 9;
- კერძების მომზადების ტექნოლოგია - 30;
- საკონდიტრო ნაწარმის დეკორი(შოკოლადის დეკორი) -10;
- სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა(ჰაუსჰიფინგი) - 30.

სულ - 187 რეგისტრანტი

➤ **პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადება (კურსდამთავრებულთა სტატისტიკა)**

2019 წელს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩაირიცხა 172 მსმენელი. სწავლა დაასრულა - 125 პირმა და სწავლას აგრძელებს - 25 პირი.

➤ **მოკლევადიანი პროგრამები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში - 2019 წელს** მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის“ პროგრამის ფარგლებში №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კოლეჯმა განახორციელა 3 (სამი) პროგრამა.

იდენტიფიცირებული საკითხები, რაც ამოცანასთან და შეფასების ინდიკატორთან მიმართებაში არასრულად არის შესრულებული:

1. „სასტუმრო მომსახურებისა“ და „სარესტორნო მომსახურების“ დუალურ პროგრამებზე 2019 წლის საშემოდგომო მიღებაზე ჯგუფები ვერ დაკომპლექტდა გამოცხადებული კვოტის ფარგლებში. ორთავე პროგრამაზე გამოცხადებული იყო 15- 15 ვაკანტური ადგილი. სასტუმრო მომსახურების პროგრამაზე ჩაირიცხა 10 პროფესიული სტუდენტი, ხოლო სარესტორნო მომსახურების პროგრამაზე - 8 პროფესიული სტუდენტი. მაშინ, როცა აპლიკანტთა ნაწილი დარჩა კონკურსს მიღმა.

დუალური პროგრამის ფარგლებში პარტნიორი დამსაქმებლებისათვის კონკურსანტთა ცოდნა და უნარები არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ მათ გადაეღობათ საკონკურსო ბარიერი.

საგნობრივი პროგრამების გაუქმებიდან გამომდინარე ზემოაღნიშნული პროგრამები კოლეჯს ერთი წლის მანძილზე არ განუხორციელებია. შესაბამისად, საჭირო იყო სიახლის მეტად პოპულარიზაცია და მეტი აპლიკანტის მოზიდვა ამ პროგრამებზე, რათა კომპანიებს არჩევანის საშუალება ჰქონოდათ.

2. „ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონატაჟის“ პროგრამაზე ჯგუფი ვერ დაკომპლექტდა. პროგრამა სიახლე იყო კოლეჯისათვის და საჭირო იყო საზოგადოების მეტად ინფორმირება. შესაძლებელი იყო პარტნიორ კომპანიებში უკვე დასაქმებულ პირებსაც კი ჰქონდათ სწავლის სურვილი. თუმცა კოლეჯის ადმინისტრაციამ ამ მიმართულებით არ იმუშავა, რადგან მიზნად დასახული იყო ახალი პირების მოზიდვა და მათი ჩარიცხვა. რაც ვერ შესრულდა. აღსანიშნავია, რომ კომპანიები დაინტერესებული არიან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამებით და დაწესებულებამ ეს უნდა გაითვალისწინოს 2020 წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას და შესთავაზოს მათ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები.

➤ ახალი პროგრამების შექმნის მიზანშეწონილობის დადგენა

2019 წელს ახალი პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ ჩატარდა 19 ორგანიზაციის წარმომადგენელთა გამოკითხვა.

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განსაზღვრული იყო კვლევის ამოცანები:

- პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან (ბლეჯი) თანამშრომლობის გამოცდილება და ურთიერთობის ფორმები;
- ორგანიზაციისათვის პრიორიტეტული უცხოური ენების შესახებ ინფორმაციის მოპოვება (ტურიზმის სექტორში);
- ამ ეტაპზე და სამომავლოდ სხვადასხვა პროგრამების განხორციელებაში თანამშრომლობა;
- სამუშაოზე დაფუძნებული /დუალური სწავლების პროცესში ჩართვის სურვილი;
- ამ ეტაპზე და სამომავლოდ სხვადასხვა დუალური პროგრამების განხორციელებაში თანამშრომლობა;
- საკუთარ ორგანიზაციაში უსაფრთხოების ნორმების, კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა უფლებების დაცვის, პრაქტიკანტთან მიმღებლობის არსებულ გარემოს შესახებ ინფორმაციის შეფასება;
- ინფორმაცია სამუშაო გრაფიკის შესახებ კომპანიაში (რამდენ საათიანი სამუშაო გრაფიკი აქვთ, ღებულობენ თუ არა არასრულწლოვნებს და სხვ);
- შშმ პირების კომპანიაში მიღების მზაობა დუალური პროგრამების მიმართულებით;
- კომპანიაში სწავლების ორგანიზების მიზნით კვალიფიციური კადრების/ინსტრუქტორების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

აღნიშნული გამოკითხვის შედეგები საფუძვლად დაედო კოლეჯის მიერ 2019 წელს 5 ახალი პროგრამის შემუშავებას და კომპანიებთან კონკრეტული პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობას.

ამოცანა №2 პროფესიული სტუდენტის /მსმენელის მოზიდვა

➤ კომუნიკაციის სტრატეგიის განსაზღვრა

2019 წლის სამოქმედო გეგმით დაგეგმილი იყო კომუნიკაციის სტრატეგიის განსაზღვრა. შექმნილია დოკუმენტის პროექტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტებიდან გამომდინარე. მიგვაჩნია, რომ სტრატეგია ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის

მოთხოვნებს და მიზანშეწონილია 2020 წლის სამოქმედო გეგმაში აქტივობა იქნას გადატანილი და შემუშავდეს ახალი რეალობის გათვალისწინებით.

➤ პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის პროვაიდერი

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ ჩართულია პროექტში „პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამა“ (WSD Program). აღნიშნული პროექტი პროფორიენტაციული ხასიათისაა, რომელიც ემსახურება სკოლის მოსწავლეებში პროფესიული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდასა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, საჯარო სკოლების გაძლიერებას, სკოლის მოსწავლეების ჩართვას სხვადასხვა პროფესიებში, კარიერის მართვის უნარების განვითარებისა და პროფესიული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობას.

კოლეჯმა დამატებით ამ პროექტით აქტიური საპროფორიენტაციო მუშაობა ჩაატარა ზემო აჭარაში.

2019 წლის გაზაფხულზე კოლეჯმა ქვეპროგრამა განახორციელა ბათუმსა და ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, ჯამში - 13 საჯარო სკოლაში.

კურსების დასახელება: „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“ და „გიდის ხელოვნება“.

პარტნიორი და ბენეფიციარი სკოლები: სსიპ ბათუმის N1 საჯარო სკოლა, ბენეფიციარი სსიპ ბათუმის N 15 საჯარო სკოლა, სსიპ ბათუმის N 2 საჯარო სკოლა, ბენეფიციარი სსიპ ბათუმის N4 საჯარო სკოლა, სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა, რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის №2 საჯარო სკოლა, ბენეფიციარი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ახალშენის საჯარო სკოლა, ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა ხელვაჩაურის #1 საჯარო სკოლა, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარის საჯარო სკოლა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა.

სულ პროექტში ჩართული იყო 160 მოსწავლე, ხოლო კურსები დაასრულა 115 მოსწავლემ. სწავლის შეწყვეტის მიზეზად მოსწავლეებმა დაკავებული გრაფიკი მიუთითეს (სხვადასხვა სპორტის სახეობაში ჩართულობა და რეპეტიტორებთან სიარული).

2019 წლის შემოდგომაზე ქვეპროგრამა მიმდინარეობდა აჭარის ა/რ 12 საჯარო სკოლაში, საორიენტაციო კურსი 2 საჯარო სკოლაში და სასერტიფიკატო კურსი 1 საჯარო სკოლაში.

კურსების დასახელება: პროფესიული უნარების განვითარების კურსი ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერაში, პროფესიული უნარების განვითარების კურსი სამკერვალო წარმოებაში, პროფესიული უნარების განვითარების კურსი ელექტროობაში, პროფესიული უნარების განვითარების კურსი გიდის ხელოვნებაში.

პარტნიორი და ბენეფიციარი სკოლები: სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სალიბაურის N1 საჯარო სკოლა, სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიჭაურის საჯარო სკოლა, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა ხელვაჩაურის N1 საჯარო სკოლა, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სალიბაურის N2 საჯარო სკოლა, სსიპ ბათუმის N25 საჯარო სკოლა, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლა, სსიპ ბათუმის N 30 საჯარო სკოლა, სსიპ ბათუმის N5 საჯარო სკოლა, სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. ახოს საჯარო სკოლა, ბენეფიციარი ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. გეგელიძეების საჯარო სკოლა, სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა, სსიპ ლევან ბერიძის სახელობის შუახევის

მუნიციპალიტეტის სოფ. ფურტიოს საჯარო სკოლა, სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლა.

საორიენტაციო კურსი კურსი ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერაში - სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ ბათუმის N4 საჯარო სკოლა, სასერტიფიკატო კურსი სამკერვალო წარმოებაში - სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლა.

➤ **გასვლითი შეხვედრები აჭარის ა. რ. საჯარო სკოლებში**

ყოველწლიურად მიმდინარეობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში - საჯარო სკოლებში საინფორმაციო/ საკონსულტაციო გასვლითი შეხვედრები აჭარის რეგიონის მასშტაბით. IX -XII კლასების მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია პროფესიული განათლების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ჩარიცხვის წესის, დაფინანსებისა და პროფესიული ტესტირების შესახებ. ასევე კოლეჯში „ბლექსი“ ეწყობა საჯარო სკოლების მიერ სასწავლო ექსკურსიები/ინფოტურები კოლეჯის დათვალეირების, მატერიალურ ტექნიკური ბაზისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის მიზნით.

2019 წელს კონსულტაცია გაეწიათ 50 საჯარო სკოლის საჯარო მოსწავლეებს. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიშში.

➤ **შეხვედრები მოსახლეობასთან**

კოლეჯში „ბლექსი“ პერიოდულად მიმდინარეობს საკონსულტაციო შეხვედრები მოსახლეობასთან. პროფორიენტაციის მიზნით მონაწილეობა მივიღეთ განათლებისა და დასაქმების ფორუმში: პროექტის „საორსა“ მიერ ორგანიზებულ სამი განათლების ფორუმში, ოთხ დასაქმების ფორუმში: სასტუმროს „ლე მერიდიანე“ გახსნა, აჭარის ა.რ დასაქმების სააგენტოს მიერ განხორციელებული დასაქმების ფორუმი, ვეტერანი მორაგებების საინფორმაციო შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან, დასაქმების სააგენტო ეიჩარის დასაქმების ფორუმი. ასევე განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრა აჭარის ა/რ რესურსცენტრებში: ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური და ხალხმრავალ ადგილებში. დაინტერესებულ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, კოლეჯის სიახლეების შესახებ და დაურიგდათ საინფორმაცია მასალა.

➤ **შეხვედრები სოციალურ პარტნიორებთან**

მუდმივად მიმდინარეობს შეხვედრები სოციალური პარტნიორებთან, სამიზნე დარგის კომპანიებთან. ხორციელდება მათი ინფორმირება კოლეჯში არსებული სიახლეებისა და გამოწვევების შესახებ. კომუნიკაცია განსაკუთრებით მჭიდროა დუალური პროგრამებისა და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ფარგლებში პარტნიორებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული პროგრამების განხორციელების პროცესში.

➤ **საჯარო ღონისძიებების ორგანიზება**

1. 2019 წელს სსიპ კოლეჯში „ბლექსი“ სასტუმრო ჰილტონ ბათუმმა 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ოფიციალურად გახსნა „ჰილტონ ბათუმის“ ტრენინგ ოთახი;
2. სსიპ კოლეჯმა „ბლექსი“ მონაწილეობა მიიღო, ბათუმში საერთაშორისო ტურიზმის

და სამედიცინო ტურიზმის გამოფენა „EXPO BATUMI TRAVEL / EXPO MED BATUMI 2019-ში. სადაც გადაეცა სერთიფიკატი - „ყველაზე პროდუქტიული სტენდი“;

3. საჯარო ღონისძიება დუალური პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით კერძო სექტორის წარმომადგენელთათვის (ტურიზმის სექტორი) (კოლეჯში);
4. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებთან (სავაჭრო - სამრეწველო პალატაში);
5. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
6. აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
7. შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 3 დეკემბერი;
8. ჟესტური ენის დღისა და ყრუთა საერთაშორისო კვირეული ფარგლებში ღონისძიება;
9. ჰელენ კელერის კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიება.

➤ **კომუნიკაცია ინფორმაციის მასობრივი საშუალებების გამოყენებით**

2019 წლის განმავლობაში კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ გადაცემებში:

1. თემა - „სიახლეები და გამოწვევები პროფესიული განათლების სისტემაში“, გადაცემა „რადიოვიზია“ (კოლეჯის დირექტორი);
2. „კულინარიის ხელოვნების“ დუალური პროგრამის საკვალიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებით სტუმრად გადაცემაში „დილის ტალღა“ (დირექტორის მოადგილე);
3. პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაციის შესახებ ჩაიწერა ინტერვიუ დირექტორის მოადგილესთან და გაშუქდა TV 25-ში;
4. საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების შესახებ გავიდა სიუჟეტი სსიპ კოლეჯზე „ბლექსი“, ვებ გვერდზე BIT.LY და გადაცემაში „ათვის კუთხე“;
5. პროფესიული განათლების მნიშვნელობასა და დუალური განათლების მნიშვნელობის შესახებ სტუმრად გადაცემაში „ათვის კუთხე“ (კოლეჯის დირექტორი);
6. რადიო FM104.5 და გადაცემის „კონტაქტი“ სტუმრები იყვნენ კოლეჯის „ბლექსი“ ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდის წევრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ სერვისებზე და დასაქმების მაჩვენებელზე სასაუბროდ.
7. Dual TVET in Georgia-ს რესპოდენტი იყო კოლეჯის დირექტორის მოადგილე, „ქართულ-გერმანული თანამშრომლობა და დუალური პროგრამების განხორციელება“.

➤ **კომუნიკაცია სოციალური მედიის მეშვეობით**

- კოლეჯის ვებ - გვერდსა და სოციალურ გვერდზე მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად თავსდება ინფორმაცია კოლეჯში მომდინარე სიახლეებთან დაკავშირებით;

- სოციალურ მედიაში გავრცელდა 10 წარმატებული ისტორია (კოლეჯის კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების კონკრეტული ქეისები);
- ზრდასრულთა განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, სოციალურ ქსელში - „facebook“ შეიქმნა ჯგუფი - „TRT-PROGRAM-პროფესიული მომზადება/გადამზადება“, სადაც თავსდება ინფორმაცია სსიპ კოლეჯში „ბლექსი“ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მიმდინარეობის შესახებ (ფოტო/მასალა, სწავლის დაწყების თარიღი, ახალ პროგრამებზე გამოცხადებული მსმენელთა რეგისტრაცია და სხვ.).

➤ **რეგულარული კავშირი სამოქალაქო სექტორთან**

კოლეჯის ადმინისტრაციის მიმართვის ფარგლებში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციე ხშირად მართავენ კოლეჯში საინფორმაციო შეხვედრებს . პარალელურად კოლეჯი მათი ღონიძიებების აქტიური მხარდამჭერი ან მონაწილეა.

2019 წელს განხორციელებული ღონისძიებები:

1. საიას ბათუმის ფილიალის თავმჯდომარემ სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ საშემოდგომო მიღების სტუდენტებისათვის წაიკითხა ტრენინგი თემაზე „პერსონალური ინფორმაციის დაცვა“;
2. არასამთავრობო ორგანიზაციის „საორსას“ მიერ ჩატარდა განათლების ფორუმი „პროფესიების არჩევის პროგრამა“-თან დაკავშირებით. ხულოს მუნიციპალიტეტში - ქედის, შუახევის და ხულოს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის, სადაც კოლეჯმა მიიღო მონაწილეობა.
3. სმენის არმქონე/პრობლემების მქონე ბავშვთა და მშობელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციისა და სსიპ კოლეჯის ორგანიზებით 2019 წლის 27 სექტემბერს ჟესტური ენის მსოფლიო დღისა და ყრუთა საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში გაიმართა საჯარო ღონისძიება 26 მაისის პარკში.
4. სსიპ კოლეჯმა "ბლექსი" მონაწილეობა მიიღო "თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის" მიერ ორგანიზებულ დისკუსიაში - „შრომის უსაფრთხოება“.
5. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა „დროის ბანკის სისტემით მოხალისეობრივი სერვისის გამოყენების შესაძლებლობებზე კოლეჯის ადმინისტრაციისა და სტუდენტებისათვის;
6. „წითელი ჯვრის“ ბათუმის ფილიალის წარმომადგენლებმა ჩატარეს ტრენინგი, პირველადი სამედიცინო დახმარების საკითხებზე.

➤ **რეგულარული კავშირი ხელისუფლებასთან**

კოლეჯს რეგულარული კავშირი აქვს ხელისუფლებასთან. 2019 წელს კოლეჯის მისიიდან და ხედიდან გამომდინარე აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობდა კოლეჯის ახალი შენობის მშენებლობასთან და აჭარის ა/რ მუნიციპალიტეტებში ფილიალების გახსნასთან დაკავშირებით.

ამოცანა №3 - კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა

➤ პროფესიული სტუდენტი/კურსდამთავრებულის ინფორმირება:

- მუდმივად მიმდინარეობს სამუშაოს მაძიებელ სტუდენტებისთვის/კურსდამთავრებულებისთვის სხვადასხვა საიტების მეშვეობით მოძიებულ ვაკანსიების გაცნობა (jobs.ge, hr.ge, hr.cov.ge, cv.ge, hrajara.ge), საინფორმაცია დაფაზე და კოლეჯის ოფიციალური გვერდზე www.facebook.com/კოლეჯი - ბლექსი, კოლეჯის ოფიციალური გვერდე ახლდება ვაკანსიები;
- სამუშაოს მაძიებელ სტუდენტებისთვის/კურსდამთავრებულებისთვის ხდება ინფორმაციის მიწოდება მათი დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, დაკავშირება მათთან დამსაქმებლის მოთხოვნიდან გამომდინარე და საკონტაქტო ინფორმაციის გადაგზავნა, სამუშაოს მაძიებელი სტუდენტი/კურსდამთავრებულის და პოტენციური დამსაქმებლების შეხვედრის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა (პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი შემუშავებულია);
- სასწავლებელში ჩარიცხული კოლეჯის სტუდენტებისთვის, მათ შორის დუალურ პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტებისთვის კონსულტაციების გაწევა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმარების შესახებ. (cv, სამოტივაციო წერილი, სამუშაოს მოძიებისა და დასაქმების საკითხებში დახმარების გაწევა);
- სამუშაოს მაძიებელი სტუდენტი/კურსდამთავრებულის და პოტენციური დამსაქმებლების შეხვედრის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა;
- დასაქმების ფორუმში კურსდამთავრებულთათვის დახმარების გაწევა;

ყოველწლიურად მიმდინარეობს კვლევები: კურსდამთავრებულთა კვლევა კოლეჯის მიერ შემუშავებული ანკეტის მიხედვით, რომლის შედეგად შეგროვებული მონაცემებით შესაძლებელი ხდება კოლეჯში არსებული მდგომარეობის, სწავლა/სწავლების ხარისხის, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევა ტარდება წელიწადში ორჯერ, 6 თვის და 1 წლის მონაცემებით.

2019 წელს შეგროვდა ინფორმაცია 2018 წლის ე.წ „საგნობრივი პროგრამების“ კურსდამთავრებულთა დასაქმების თაობაზე.

2018 წელს კოლეჯი დაასრულა 294 სტუდენტმა, მათგან დასაქმდა, 6 თვის მონაცემებით , - 184 კურსდამთავრებული (62,6%), ხოლო ერთი წლის მონაცემებით- 188 კურსდამთავრებული (64.0%).

➤ სტატისტიკა ასე გამოიყურება:

- მზარეული 6 თვის და ერთი წლის მონაცემებით (95.7% ; 80.4%);;
- ბართენდერი 6 თვისა (81.8%) და 1 წლის მონაცემებით (72.7%);

- სასტუმრო საქმისმწარმოებელი 6 თვის მონაცემებით (66.7%) და 1 წლის მონაცემებით (72.2%);
- სარესტორნო საქმისმწარმოებელი 6 თვის მონაცემებით (90.9%), 1 წლის მონაცემებით (81.8%);
- ელექტრიკოსი 6 თვის მონაცემებით (60.4%), 1 წლის მონაცემებით 79.2%);
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი 6 თვისა და 1 წლის მონაცემებით (66.7%);
- მეფილე - მომპირკეთებელი 6 თვის მონაცემებით (100%) 1 წლის მონაცემებით (85.7%);
- IT მიმართულების სპეციალოზები 6 თვისა და 1 წლის მონაცემებით (43.8%).

2019 წელს კოლეჯი დაასრულა 112 სტუდენტმა. მათგან 6 თვის მონაცემებით დასაქმდა 54 კურსდამთავრებული (48.2%).

კერძოდ:

- კულინარიის ხელოვნება (დუალური პროგრამა) - 82 %;
- ელექტროობა (მოდულური პროგრამა) - 70%;
- ბართენდერი (მოდულური პროგრამა) - 50%;
- ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური პროგრამა) - 32%;
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (მოდულური პროგრამა) - 45%;

კოლეჯში დაბალია შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი. შედგა თანამშრომლობა სოციალურ სააგენტოში არსებულ შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირთა დასაქმების ხელშეწყობისთვის არსებულ სამსახურთან, რომელსაც სისტემატიურად მიეწოდება ინფორმაცია კოლეჯის სსსმ კურსდამთავრებულების შესაძლებლობებისა და მიღწეული უნარების შესახებ. 2019 წელს თანამშრომლობის შედეგად დასაქმდა ინფორმაციის ტექნოლოგიის კურსდამთავრებული. ასევე, სეზონის პერიოდში დასაქმდა კულინარიის ხელოვნების მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტი.

შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით კომპანიებთან კომუნიკაცია ჯერ კიდევ ვერ იძლევა სასურველ შედეგს და აუცილებელია ამ მიმართულებით გააქტიურება, სწორი სტრატეგიის შემუშავება.

➤ **დამსაქმებელთა ჩართულობა სწავლების პროცესში**

მუდმივად მიმდინარეობს პოტენციური დამსაქმებლის მოძიება სამუშაო ბაზარზე, მათთან მოლაპარაკებების გამართვა სტუდენტთა დასაქმების მიზნით. ფართოვდება დამსაქმებელთა წრე. ხორციელდება დამსაქმებელთა და პოტენციულ დამსაქმებელთა გამოკითხვები და ა. შ. კვლევების შედეგად შეგროვებული მონაცემებით შესაძლებელი ხდება კოლეჯში არსებული მდგომარეობისა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ასევე პარტნიორული თანამშრომლობა რეგიონში მოქმედ კომპანიებთან და დამსაქმებელთა ჩართულობის გაზრდა საგანმანათლებლო პროცესში.

2019 წელს შედგა თანამშრომლობა ახალ პარტნიორებთან. ასევე, მოდულური პროგრამების ფარგლებში განახლდა თანამშრომლობა უკვე არსებულ პარტნიორებთან. მოდულური პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობის ძირითად საგანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფა, ხოლო დუალური პროგრამების ფარგლებში პროგრამის პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50 %-ზე მეტი მიიღწევა კომპანიათა ბაზაზე.

პარტნიორი კომპანიები:

სარესტორნო მომსახურება და სარესტორნო მომსახურება (დუალური პროგრამები)

- შპს „ტურინვესტი“ სასტუმრო („ჰილტონ ბათუმი“);
- შპს „აქტივ ბათუმი“ (სასტუმრო „ვინდამ ბათუმი“);
- შპს „ქარაფი“ (სასტუმრო „კასტელო მარე“);
- შპს „არგო მენეჯმენტი“ (სასტუმრო „რედისონ ბლუ ბათუმი“);
- სს „ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთი“ (სასტუმრო „შერატონ ბათუმი“).

ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი (დუალური პროგრამა)

- შპს „დს კონსტრაქშენი“ (სამშენებლო კომპანია);
- შპს „მირაკლ“ (სამშენებლო კომპანია);
- შპს „გუმბათი ჯგუფი“ (სამშენებლო კომპანია);
- შპს „სევენ სთარ კონსტრაქშენ“ (სამშენებლო კომპანია);
- შპს „ანაგი“ (სამშენებლო კომპანია).

სამკერვალო წარმოება (მოდულური პროგრამა)

- შპს „ფასთ თრექ ტექსტილე ლთდ“ (სამკერვალო ფაბრიკა);
- შპს „ბათუმი ტექსი“ (სამკერვალო ფაბრიკა);
- შპს „ბტმ ტექსტილე“ (სამკერვალო ფაბრიკა).

კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება: (მოდულური პროგრამა)

- შპს „csc Batumi“ (კომპიუტერული მომსახურების ცენტრი);
- შპს „მმოზა“ (სასტუმრო „ლეგასი“);
- შპს „ტვ ერა“ (საკაბელო ტელევიზია)
- შპს „ტურინვესტი“ სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“);
- შპს „აქტივ ბათუმი“ (სასტუმრო „ვინდამ ბათუმი“);
- ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი;
- შპს „ქარაფი“ (სასტუმრო „კასტელო მარე“).

2019 წელს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის მიზნით მიმდინარეობდა მუდმივი კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, რომლის მიზანი იყო ძლიერი თანამშრომლობის ქსელის უზრუნველყოფა, ინფორმაციის გაცვლა, დასაქმების ხელშეწყობის სერვისებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლება.

2019 წელს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები განხორციელდა პარტნიორთა ბაზაზე, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით, კომპანიათა მიერ გამოყოფილი დარგის სპეციალისტების ჩართულობით, რომლებთანაც კოლეჯმა გააფორმა შრომითი ხელშეკრულებები.

2019 წელს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების პროცესში ჩაერთო შემდეგი კომპანიები:

სამშენებლო სექტორი: შპს "ორბი ჯგუფი ბათუმი", შპს "გუმბათი ჯგუფი", შპს "ELSTAR", შპს „მირაკლი“, შპს „სახლი ხეივანში“,

ტურიზმის სექტორი: სასტუმრო "ჰილტონ ბათუმი", სასტუმრო „ვინდამ ბათუმი“, საკონდიტრო "ალუბალი", აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ღვინის მარანი - „რკ. საწური“ .

2019 წელს კოლეჯმა ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-სთან თანამშრომლობის ფარგლებში „კერძების მომზადების ტექნოლოგიის“ პროგრამაზე, კოლეჯის ბაზაზე გადაამზადა საბავშვო ბაღებში დასაქმებული 25 მზარეული და დამხმარე მზარეული.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების კურსდამთავრებულთა 80% არის დასაქმებული. აღსანიშნავია, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამებში ჩართული პირები იმთავითვე დასაქმებული იყვნენ და აღნიშნული მიმართულებით ხაზგასასმელია კომპანიასთან - შპს "ELSTAR" თანამშრომლობა, რომელიც ძალიან ბევრი მსხვილი კომპანიის ქვეკონტრაქტორია და პროფესიული მომზადების პროგრამის „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე“ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი სწორედ აღნიშნულ კომპანიაში დასაქმდა.

ამოცანა №4 - რესურსების განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა

➤ ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

2019 წელს დადებითად გადაწყდა კოლეჯისათვის ახალი შენობის მშენებლობის საკითხი. აჭარის ა/ რ მთავრობის მიერ „განათლების ქალაქის“ ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ფართი „ბლექსის“ შენობისათვის და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო მუშაობს კოლეჯის ახალი შენობის პროექტზე. კოლეჯმა სააგენტოს მიაწოდა ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რაც გათვალისწინებულია კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმით. ძირითადი მიმართულებებია: ტურიზმი და მშენებლობა. ასევე, ინჟინერია და ტექსტილის სფერო.

ზემო აჭარაში ჩატარდა თვისებრივი კვლევა მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენის მიზნით. კვლევა განხორციელდა „გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) პროექტის (ENPARD–2 და ENPARD–3) ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. კვლევა განხორციელდა უშუალოდ კოლეჯის სამუშაო ჯგუფის მიერ პროექტის ექსპერტის ხელმძღვანელობით. მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენასთან ერთად აქტივობები განხორციელდა მუნიციპალტეტებში ფილიალის გახსნის მიზნით. ანალიზის შედეგად ზემო აჭარაში მოთხოვნად მიმართულებებად გამოიკვეთა: ტურიზმი, მშენებლობა და აგრარული მიმართულება.

ამ ეტაპზე შუახვევის ფილიალში უკვე სრულდება შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც უახლოეს პერიოდში გადმოეცემა კოლეჯს. რეაბილიტაცია ხორციელდება შუახვევის მუნიციპალიტეტის მიერ. შენობის სრული აღჭურვა განხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით.

კოლეჯმა 2020 წლის სამოქმედო გეგმით უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ფილიალის გახსნის საკითხი, იმ პროგრამათა გათვალისწინებით, რაც გამოიკვეთა UNDP -ის პროექტის ფარგლებში განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგად.

ქედის მუნიციპალიტეტში ფილიალის გახსნის საკითხი ამ ეტაპისათვის შეჩერებულია. მიგვაჩნია, რომ ქედის მუნიციპალიტეტში კარგად იმუშავებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები. ქედა განსაკუთრებით საინტერესოა ტურიზმისა და აგრარული მიმართულებებით.

2019 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო აღჭურვილობისა და სასწავლო რესურსის შექმნა იმ პროგრამებისათვის რასაც კოლეჯი იმატებდა, რაც განხორციელდა და კოლეჯმა გაიარა როგორც რეავტორიზაცია, ასევე, რეავტორიზაციიდან ერთ თვეში დაიმატა 5 ახალი პროგრამა.

➤ ადამიანური რესურსის განვითარება

2019 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო პერსონალისათვის შიდა საორიენტაციო პროგრამები და ინსტრუქტაჟი, პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება, ახალი მასწავლებლების მოზიდვა და დუალური პროგრამის ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლება.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ტრენინგები, საკონსულტაციო სამუშაოები მასწავლებლებისათვის, მათ შორის ახალდამწყები მასწავლებლებისათვის, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მიმართულებით კოლეჯი არ არის ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან მიმართებაში სრულ შესაბამისობაში. არ განხორციელებულა საჭიროებათა მიზანდასახული, გეგმიური კვლევა და ამ მიმართულებით აქტივობები ხშირად სპონტანურად მიმდინარეობს.

კოლეჯისათვის წინგადადგმული ნაბიჯია ის მიდგომა, რისი დანერგვაც დაიწყო დაწესებულებამ 2019 წელს ახალი მასწავლებლების პროფესიაში შემოყვანის მიმართულებით.

2019 წლის მეორე ნახევრიდან კოლეჯმა აქტიურად დაიწყო მუშაობა ახალი პედაგოგიური რესურსის მოზიდვის, კოლეჯის ადამიანური რესურსის სიმძლავრის გაზრდის მიზნით.

2019 წელს გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება „გაეროს განვითარების პროგრამასთან“ (UNDP) პროექტის (ENPARD-3) ფარგლებში ტურიზმისა და მშენებლობის მიმართულებით ახალი კადრების მოძიების, პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადების და მოკლევადიანი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.

საორიენტაციო პროგრამებისათვის (სასტუმრო მომსახურება, საოჯახო სასტუმროს მომსახურება, ელექტროობა, შედუღება, რკინა-ბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი) კონკურსის გზით შერჩეული იქნა მასწავლებლობის კანდიდატები (ტურიზმის მიმართულება - 4; ელექტროობა - 2; შედუღება - 2; მშენებლობა - 3). ყველა მათგანმა უკვე გაიარა დარგობრივი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და 2020 წლის პირველ

მარტამდე დასრულდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში. მასწავლებლად პირი შერჩეული იქნება მხოლოდ აღნიშნული ტრენინგების შედეგების საფუძველზე.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მიდგომა მაქსიმალურად ყველა პროგრამის მიმართულებით ეტაპობრივად უნდა იქნას დანერგილი და მიღებული გამოცდილების საფუძველზე კოლეჯს 2020 წლისათვის უკვე შეუძლია შეიმუშაოს ადამიანური რესურსის მოზიდვისა და მისი მუდმივი განვითარების მექანიზმი.

2019 წლის მანძილზე დუალური პროგრამების ინსტრუქტორებისათვის ჩატარდა როგორც კოლეჯის მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრები, ასევე, ტრენინგები „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება“ (GIZ) მხარდაჭერით. მშენებლობის მიმართულებით მოწვეული იქნა გერმანელი ექსპერტები. აღნიშნულის მიუხედავად ინსტრუქტორებთან საჭიროა მეტი მუშაობა. ამ მიმართულებით კოლეჯს არ ყოფნის ადამიანური რესურსი, მაგრამ 2020 წლიდან სამინისტროსთან შეთანხმებით კოლეჯს ეყოლება დუალური პროგრამების კოორდინატორი, რომელიც აქტიურად ჩაერთვება ინსტრუქტორებთან კომუნიკაციის პროცესში.

მიგვაჩნია, რომ კოლეჯში ადამიანური რესურსების განვითარების ამოცანის მიღწევისათვის აუცილებელია მეტი სისტემატიზაცია და კოლეჯმა უნდა შეიმუშაოს ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკა.

➤ *სასწავლო რესურსების განვითარება*

2019 წელს განხორციელდა წიგნადი ფონდის შევსება. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი გახდა Open Biblio. პროგრამები უზრუნველყოფილია სასწავლო ლიტერატურით. ერთადერთი პროგრამა სადაც პროგრამის შესატყვისი ლიტერატურის სიმწირეა არის დუალური პროგრამა - „საავტომობილო გზების მშენებლობა“.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით მხარდაჭერა ვთხოვეთ „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას“ (GIZ) და მათი ფინანსური მხარდაჭერითა და „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის“ (ICCA) ორგანიზებით უკვე სრულდება სახელმძღვანელოზე მუშაობა. სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში ჩართულია „საავტომობილო გზების მშენებლობის“ პროგრამის ხელმძღვანელი (მ. ბერიძე).

➤ *მართვის სისტემები და ხარისხის მართვა*

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი ეფუძნება დემინგის ციკლს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“. ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით 2019 წელს განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული შეფასების სისტემაზე და ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებები განხორციელდა. ეს ეხება, როგორც მასწავლებელთა უნარების გაუმჯობესებას, ასევე, თავად შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობას, მტკიცებულებების ვერიფიკაციას და სხვ.

2019 წელს რეავტორიზაციის წინ განხორციელდა ყველა მიმდინარე პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. ყველა პროგრამა გადაიხედა და

განხორციელდა მათი მოდიფიცირება. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ.

2019 წელს კოლეჯმა გაიარა რეაგტორიზაცია და 2019 წლის ბოლოს ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით მონაწილეობა მიიღო თვითშეფასების პროცესის პილოტირებაში და კოლეჯის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დაწესებულების საქმიანობა შეაფასა ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტთან მიმართებით. სრული შესაბამისობა სამუშაო ჯგუფმა დააფიქსირა მხოლოდ მეორე სტანდარტთან მიმართებაში (ელექტრობის პროგრამის ფარგლებში).

თვითშეფასების შედეგად გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი საკითხები და დაწესებულება გეგმავს 2020 წელი სწორედ ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით დაგეგმოს და 2020 წლის თვითშეფასებას შეხვდეს გაუმჯობესებული შედეგებით, ვიდრე ეს 2019 წლის თვითშეფასებაში (პილოტირება) დააფიქსირა.

➤ **სტუდენტური ცხოვრების და სასწავლო პირობების გაუმჯობესება**

➤ **პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემის სრულყოფა**

2019 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემის სრულყოფა. ამ მიმართულებით შემუშავდა მექანიზმი შეფასების თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე კოლეჯს ამ მიმართულებით ბევრი სამუშაო აქვს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას 2020 წლის სამოქმედო გეგმაში.

➤ **ადგილობრივი და გასვლითი ღონისძიებების ორგანიზება**

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში. აღნიშნულის მიზანია კოლეჯისა და ზოგადად პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება.

2019 წლის ადგილობრივი და გასვლითი ღონისძიებების:

2019 წლის 15 ივნისს, თბილისში - პირველი რესპუბლიკის მოედანზე, სსიპ კოლეჯი "ბლექსი" მონაწილეობას ღებულობდა პროფესიული განათლების ქართულ-გერმანულ დღეებში;

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირების სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ მონაწილეობს ღებულობდა ქ. ქუთაისში გამართულ ღონისძიებაში - „გააზიარე ცოდნა“.

ქ. ზუგდიდში, რუხში გაიმართა გასტრონომიული ხაჭაპურის ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯმა „ბლექსი“.

სტუდენტებისთვის არაფორმალური აქტივობების წახალისების მიზნით ორგანიზებულ იქნა კოლეჯში სტუდენტური ღონისძიების მოწყობა. კერძოდ, მოწვეული იქნა საქართველოს სახალხო არტისტი ლეო ანთაძე რომელმაც კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის რეპერტუარიდან შეასრულა რჩეული მონოსპეკტაკლები.

გერმანიის თანამშრომლობის (GIZ) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი პროექტით, ასევე კოლეჯის „ბლექსი“ ჩართულობით და ორგანიზებით ბათუმის საზღვაო აკადემიაში გაიმართა საპროფორიენტაციო შეხვედრა ქ. ბათუმის საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის.

მოეწყო ინფოტურები ყველა პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის;

სტუდენტთა, მათ შორის სსსმ/ შშმ სტუდენტთა აქტიური ჩართულობით კოლეჯმა ორგანიზება გაუკეთა შემდეგ ღონისძიებებს: დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 3 დეკემბერი, ჟესტური ენის დღისა და ყრუთა საერთაშორისო კვირეული ფარგლებში ღონისძიება, ჰელენ კელერის კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიება.

➤ მოხალისეობის სემინარების ორგანიზება

კოლეჯმა „ბლექსი“ სტუდენტთა მოხალისეობრივი საქმიანობაში ჩართვის მიზნით მოიწვია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“. გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: „დროის ბანკის სისტემით მოხალისეობრივი სერვისის გამოყენების შესაძლებლობები“.

2019 წლის 3 დეკემბერს სასტუმროს „ლე მერიდიანეს“ გახსნასთან დაკავშირებით დასაქმების ფორუმში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის „ბლექსი“ „სასტუმრო მომსახურების“ და „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამების პროფესიულმა სტუდენტებმა, რომლებმაც შეასრულეს მოხალისეობრივი საქმიანობა. კოლეჯმა „ბლექსი“ მადლობა გამოუცხადა სტუდენტებს მოხალისეობრივი საქმიანობისთვის, ხოლო სასტუმროს „ლე მერიდიანეს“ მენეჯერმა მათ სერტიფიკატები გადასცა.